

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის  
სხდომის ოქმი  
№1

ქ. ქუთაისი

27 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- |                     |   |
|---------------------|---|
| დავით ანდლულაძე     | – ქ. ქუთაისის მერის მოადგილე,<br>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.   |
| კოტე რატიანი        | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების<br>სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის<br>თავმჯდომარის მოადგილე. |
| ლევან ჭანჭალაიშვილი | – ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის<br>უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.                             |
| ვასილ მებურიშვილი   | – ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის<br>სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი            |
| ირაკლი გიორგაძე     | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის<br>იურიდიული განყოფილების უფროსი,<br>საკონკურსო კომისიის წევრი. |

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში შარტავას ქუჩის შიგა  
კვარტალური სანიაღვრე ქსელის კაპ. მოწყობის საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა კოტე რატიანმა კომისიის წევრებს  
გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და  
საკონკურსო დოკუმენტაციის (ქალაქ ქუთაისში შარტავას ქუჩის შიგა  
კვარტალური სანიაღვრე ქსელის კაპ. მოწყობის საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდლულაძემ.  
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.  
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალაიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში შარტავას  
ქუჩის შიგა კვარტალური სანიაღვრე ქსელის კაპ. მოწყობის საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო  
შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო  
დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 05 მარტს 12:30 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012  
წლის 05 მარტის 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს  
თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების  
სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე-3  
სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

დავით ანდლულაძე



საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ვოტე რატიანი



კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი



ვასილ მებურიშვილი



ირაკლი გიორგაძე

